ბატონი მურად ნარსიას მიმართვა ბაფის წევრებსა და აუდიტორულ კომპანიებს, მათ შორის მიმართვა მოვიდა ჩემი აუდიტორული ფირმის „აუდიტ პროფესიონალის“ სახელზე 25 ნოემბერს

მოგესალმებით,

მაქვს პატივი თქვენ, ახლა, ამ წერილით, ხოლო შემდგომ კი პერიოდულად, სხვადასხვა ფორმატში, მოგაწოდოთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია და მოსაზრებები ჩვენს პროფესიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე, თუმცა თუ ასეთი სურვილი არა გაქვთ, გთხოვთ მომწეროთ/მაცნობოთ ამის შესახებ და მე მას აუცილებლად გავითვალისწინებ.

ამჟამად გიგზავნით :

1. დანართიN1. საქართველოში ფუნქციონირებად აუდიტორული კომპანიების ძირითად მონაცემებს, რომელიც შესრულებულ იქნა ჩემს მიერ გააქტიურებული კვლევითი პროექტის ფორმატში. ვფიქრობ ეს მონაცემები მოგცემთ სრულ ინფორმაციას აუდიტორულ კომპანიებზე, (თითოეული აუდიტორული კომპანიის ჭრილშ) მათ დამფუძნებლებზე, გარიგების პარტნიორებზე, რეგისტრირებულ აუდიტორებზე, საკონტაქტო ინფორმაციაზე და სხვ
2. დანართიN2. ინფორმაციას სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ სერტიფიცირებულ აუდიტორებზე, მათ შორის ბაფის წევრებზე
3. დანართიN3. ჟურნალ „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“-ში (N10, 2022 წ) გამოქვეყნებულ მურად ნარსიას სტატიას სათაურით: **„მხარს არ ვუჭერ ბაფის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემოთავაზებულ მცდელობას!“,** რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ **ბაფის გამგეობამ მიუღებლად ჩათვალა (არ გაგიკვირდეთ, ეს ოქმში ოფიციალურად ჩაწერეს ანუ მიუღებლად ჩათვალეს თქვენამდე სიმართლის ფაქტის მოტანა) ბაფის წევრებთან ამ საკითხზე (ბაფის წესდებაში ფუნდამენტალურ საკითხებზე ცვლილების) კომუნიკაცია და მართალი აზრის გაზიარება თქვენთვის**, თუმცა მე, მიუხედავად აღნიშნულისა, მიზანშეწონილად ჩავთვალე მომეწოდებინა ჩემი მოსაზრება თქვენთვის განხილვისა და 2022 წლის 24 დეკემბერს დანიშნულ ბაფის საერთო კრებაზე **გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით,** რადგან ასეთია კარგი საერთაშორისო პრაქტიკა(კარგ საერთაშორისო პრაქტიკაზე დამატებით, დაახლოებით ერთ კვირაში მოგაწვდით ინფორმაციას)**.** უფრო მეტიც, ბაფის გამგეობის თავმჯდომარესა და გამგეობის წევრებს შევთავაზე საერთო კრებამდე დარჩენილ დროში დაეორგანიზებინათ ბაფის ვეფ.გვერდზე გამოქვეყნებულ წესდებაში ცვლილების პროექტის განხილვა ბაფის წევრების აქტიური ჩართულობით. თუ ასეთი განხილვა ბაფის გამგეობამ არ დაორგანიზა, მე ვიქნები მზად ასეთი განხილვის ორგანიზებისათვის იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სურვილი გამოხატული იქნება თქვენგან (საამისოდ საკმარისი იქნება შეტყობინების გამოგზავნა ჩემს ამ Email-ზე ან სმს შეტყობინება ქვემოთ მითითებულ მობილურის ნომერზე : 555-050-255; (მაგალითად, ასეთი შინაარსით: „ ბ-ნო მურად, მე, ელგუჯა მურღვლიანს, მაქვს ინტერესი ჩავერთო მსგავს განხილვებში, მათ შორის „ზუმის“ ფორმატში. ამ მიზნით გაცნობებთ ჩემს Email:elgujamurgvliani@gmail.com; ჩემი mob: 597334513. პატივისცემით ელგუჯა მურღვლიანი“.
4. მ.ნარსიას მიერ, 2020 წლის საერთო კრებაზე გამგეობის წევრად არჩევისას წარდგენილი სამოტივაციო წერილი (იხ. http://www.gfpaa.ge/site/files/news/WORD%2C%20PDF%20failebi/2020/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/BAF11-2020.pdf), რომლის შესრულება შეგიძლიათ გადაამოწმოთ ჩემთან შეხვედრებისას (თუ ასეთი სურვილი გექნებათ) დემონსტრირებული ფაქტებით.

გაითვალისწინეთ, რომ დამოუკიდებელი აუდიტორების ინიციატივით ფბ-ზე დაფუძვნდა აუდიტორთა დამოუკიდებელი ჯგუფი „**დამოუკიდებელ აუდიტორთა პლატფორმა-2022“,** რომელიც იქცა ამ სფეროს პროფესიონალთა თავისუფალ სადისკუსიო არენად და საინტერესო პროფესიული ინფორმაციის, სიახლეების პლატფორმად. ეს პლატფორმა, ამ დღეებში აუცილებლად გააქტიურდება ამ საკითხების პროფესიულ წრეში არსებითად განხილვის მიმართულებითაც.

არ მოგერიდოთ, არ შეგეშინდეთ ცვლილებების, მართალი და ობიექტური აზრის გამოხატვისა და მოქმედების. მე, ბაფის გამგეობის წევრად საქმიანობის თითქმის ორწლიანი პერიოდის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ცვლილებები, შესაბამისად განვითარება გარდაუვალია. მე, მაგალითად არ მომწონს ისეთი ბაფი,მისი ისეთი გამგეობა, რომელიც არ გვავითარებს და არც თვითონ ვითარდება, ბაფის ისეთი დამფუძნებლებიც (რა დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეთ მათ), რომლებიც თავისი ნებით(თუმცა, **შესაძლოა იცვლებოდეს რაღაცაზე** და რა არის ეს რაღაცა ჩვენ არ ვიცით, ამ საკითხზე დასმულ კითხვაზე რეალურ პასუხი დღემდე ვერ მივიღეთ), თმობებ ბაფის უნიკალურ აქტივს- დამოუკიდებლობას (ადვოკატირების და ბაფის წევრების ინტერესების დაცვის უნიკალურ ინსტრუმენტს, პროფესიის განვითარებისათვის აუცილებელი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების მოპოვების უშრეტ წყაროს), რომელიც ნამდვილად არ არის გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს. **ჩემის აზრით, ეს არის თურქმენეთიზაციისაკენ მიმავალი გზა, ინსტიტუციონალური შეუთავსებლობა, რომელიც, ვფიქრობ მიუღებელი უნდა იყოს ბაფის წევრებისათვის, რომლებზეც მე საკმაოდ მაღალი წარმოდგენა მაქვს.**

ვიქრობ გაითვალისწინებთ, რომ ჯანსაღი, მტკიცებულებებზე დამყარებული კრიტიკა პოზიტიურად მუხტავს პროცესს, ხელს უწყობს ჭეშმარიტების დადგენას, მათი გათვალისწინება კი ავითარებს პროფესიულ ორგანიზაციას, პროფესიას, პიროვნებებს (აუდიტორებსა და ბუღალტრებს) და რაც მთავარია, იწვევს ამ პროფესიით ახალი თაობის დაინტერესებას(ამ თვალსაზრისით ვფიქრობ საკმაოდ რთული სიტუაციაა ქვეყანაში). ჩვენთან, რატომღაც კრიტიკას აგრესიულად ხვდებიან, რაც , ვფიქრობ განპირობებულია საბჭოურ წიაღში შობილი, „ფიქსირებული აზრის ტყვეობაში“ არსებობით, რომელიც საჭიროებს განკურნებას და მთელს ამ პროცესში სამკურნალოდ ჩვენ, თვითოეულმა ჩვენი ,,ტაბლეტები“(განწყობა და ხმა) უნდა მივიტანოთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის, მისი საქმიანობის მიმართ არაკეთილგანწყობა არ შეიძლება, რომ გვქონდეს, რადგან ეს უნიკალური ინსტიტუტია, რომლის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი ეფექტურად ფუნქციონირება ამ ეტაპისთვის ობიექტურად აუცილებელია, თუმცა ინსტიტუციონალური აღრევა, იმის გამო, რომ ბაფის მენეჯმენტი უკვე წლებია ვერ ახერხებს ამ ინსტიტუტთან ეფექტურ თანამშრომლობას, აბსოლუტურად მიუღებელია.

ვიმედოვნებ თქვენი და ბაფის თითოეული წევრის ჩართულობით, ჩვენი საერთო მეცადინეობით, თვითშეფასების დეფიციტის არ არსებობის, რეალობის ადეკვატურად აღქმისა და განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებებით ჩვენ ერთად აუცილებლად შევუწყობთ ხელს პროფესიისა და ქვეყნის განვითარებას, ჩვენ ვერ ვიქნებით „დროში ჩარჩენილები“-მერწმუნეთ ასეთ მდგომარეობაში ყოფნის დროის ლიმიტი ამოწურულია, ჩვენ ერთად, მათ შორის ბაფის დამფუძნებლებიც, აუცილებლად დავძლევთ/გავთავისუფლდებით საბჭოეთში ფორმირებული „ფიქსირებული განწყობის ტყვეობიდან“. და მერე რა, რომ ეს შესაძლოა ზოგიერთს არ მოეწონოს, განსაკუთრებით მათ ვინც დღეს დაჟინებით მოითხოვს (დიახ, მოითხოვს), ბაფის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მაღალი ხარისხისაგან დაცლას, თან სამუდამოდ, სავარაუდოდ **ბაფის წევრების გაუცნობიერებლობის(უფრო „სიბრიყვის“ მოლოდინში**) იმედად-ამიტომ ბედავენ და აკეთებენ ანომალურ ჩანაწერებს საოქმო გადაწყვეტილებებში ამ ფაქტების წევრებთან მიტანის მიუღებლობაზე, ამიტომ ახერხებებ ბაფის ვეფგვერდზე გამოცხადებულ

წესდებაში ცვლილების პროექტში სწორედ მისი არსებითი დატვირთვის მქონე 9.3 მუხლის, აგრეთვე ამ მუხლთან კორელაციაში მყოფი სხვა მუხლების (სადაც ჩანს saras-ის წარმომადგენლის შემოსვლა ბაფის გამგეობაში, ანუ მართვაში) **„გამოტოვებას“**(იქნება თქვენ თვითონ დაინტერესდეთ და ნახოთ ეს ფაქტი ბაფის საიტზე) და ბუნდოვანი გარემოს შექმნას და სხვ). ვწუხვარ, ასეთი მანიპულიაციების დადასტურებული მცდელობის გამო, რომლის გამოყენების დროის ლიმიტი, დამეთანხმებით ალბათ, რომ ამოწურულია.

ზემოაღნიშნული ფაქტებიც და შეფასებები ნასაზრდოებია იმ გარემოს ობიექტურად აღქმის შედეგებით, სადაც თქვენ გამამწესეთ 2020 წლის 12 დეკემბერს, ბაფის გამგეობის წევრად არჩევის შედეგად. ვთვლი, რომ **მე თქვენამდე მოვიტანე სიმართლე,** რომელიც თქვენი შესაფასებელია, ასევე თქვენი გადასაწყვეტია თუ საით წავა ბაფის განვითარება.

მერწმუნეთ, თუ მექნება თქვენი მხარდაჭერა (თუმცა ზოგიერთი კოლეგა სკეპტიკურად არის განწყობილი, მეუბნება, რომ თითქოს ბაფის წევრების ნაწილი თავს აარიდებსო ჩემსა და ჩემი თანამოაზრეების მხარდაჭერას და დატკეპნილ, დახავსებულ გზაზე სიარულს, ძველების მხარდაჭერის გზას აირჩევენო, მაგრამ მე სულაც არ ვფიქრობ ასე), ჩვენ ერთად ყველა წინააღმდეგობას გადავლახავთ, ჩვენ ვივლით განვითარებისა და წევრების ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიმართულებით, ჩვენ მოვახერხებთ ბაფი იქცეს პროაქტიულ და განვითარებაზე ორიენტირებულ, მისი წევრებისა და პროფესიისათვის, ქვეყნისათვის, გამოწვევებისადმი ადეკვატური რეაგირების უზრუნველმყოფელ კვალიფიციურ, ახალ სიმაღლეზე მყოფ პროფესიულ ინსტიტუტად , ძალიან საჭირო ორგანიზაციად.

მადლობა თქვენი დროისათვის და შესაძლო ადეკვატური ქმედების განზრახვისათვის. მაპატიეთ იმის გამო, რომ წერილი საკმაოდ ვრცელი გამომივიდა და შესაძლოა გადაგღალეთ კიდევაც.

შესაძლო კითხვა-რა უნდა ნეტავ ამ მ.ნარსიას? მერწმუნეთ, რომ არაფერი, გარდა იმისა, რაც დეკლარირებული მქონდა ზემოაღნიშნულ ჩემს 2020 წლის 26 ნოემბრის სამოტივაციო წერილში (იხ. შესაბამისი ზემოაღნიშნული ლინკზე განთავსებული წერილი). მავანთათვის ასეთი აქტიურობა წარმოუდგენელი და მოულოდნელი იყო. მათ ძალიან მოსწონდათ როცა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ბაფის საქმიანობის მონიტორინგის შედეგებზე გამოცემული ბრძანების უსაფუძვლობაზე მთელი პრინციპულობით ვიცავდი ბაფის ინტერესებს, მაგრამ როცა ბაფის მენეჯმენტის კრიტიკის ჟამი დადგა, ეს უკვე აღარ მოსწონთ, მაგრამ არა უშავს...მერწმუნეთ, ჩემის მხრიდან მსგავსი, სიმართლეზე და ობიექტურობაზე დაფუძნებული აქტიურობები ავითარებს პროფესიას, ქმნის პირობებს ამ პროფესიით ახალგაზრდა თაობის დაინტერესებისათვის, რომელიც ძალიანაც სჭირდება ქვეყანას, ჩვენი შვილების მომავალს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ჩემი და ამ მოსაზრების მხარდამჭერების მიზანია, თქვენი მხარდაჭერით, **გადავარჩინო ბაფი დამოუკიდებლობის დაკარგვას.** ცხადია, მაინტერესებს თქვენ რას ფიქრობთ ამ არსებით საკითხზე?

გისურვებთ წარმატებებს!

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,
მურად ნარსია,
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი, სერთიფიცირებული აუდიტორი,
ბაფის გამგეობის წევრი

Mob: 555-050-255